Supporting the prevention of addiction in Georgia

FUNDACJA PRAESTERNO

# რეკომენდებული პროგრამები პოლონეთში: შერჩეული პროფილაქტიკური პროგრამები რომლებიც მეცნიერულ მტკიცებულებებს ეყრდნობა

Ministerstwo Zdrowia

Krajowe Biuro do Spraw Przeciwdziałania Narkomanii

Supporting the prevention of addiction in Georgia

FUNDACJA PRAESTERNO

აგნეშკა პისარსკა

ახალგაზრდული პროფილაქტიკის ლაბორატორია „Pro-M”

ვარშავის ფსიქიატრიიისა და

ნევროლოგიის

ინსტიტუტი

Ministerstwo Zdrowia

Krajowe Biuro do Spraw Przeciwdziałania Narkomanii

# პროფილაქტიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების რეკომენდაციის სისტემა

- შეიქმნა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განათლების ხარისხის ამაღლების, ჯანმრთელობის პოპულარიზაციის და ახალგაზრდების სარისკო საქციელების პროფილაქტიკის აუცილებლობის პასუხად.
- სისტემაში წარდგენილი პროგრამები გაანალიზდება სარეკომენდაციო ჯგუფის მიერ დეტალური მოთხოვნების თვალსაზრისით. ეს მოთხოვნები ეხება პროგრამის ხარისხს მთლიანობაში და აგრეთვე მისი მომზადებისა და რეალიზების ცალკეულ ეტაპებს.

# რეკომენდაციის სისტემა : შეფასების კრიტერიუმები

**პრობლემის აღწერა**

- გამომდინარეობს თუ არა პრობლემა იმ მოვლენიდან რომელსაც შეეხება პროგრამა? ჩატარდა თუ არა სიტუაციის ზოგადპოლონური/ლოკალური დიაგნოსტიკა?
- ნათლადაა თუ არა ფორმულირებული პრობლემა?
- გამოყენებულია თუ არა ადეკვატური და აქტუალური მონაცემები?
- გათვალისწინებულია თუ არა რისკის ფაქტორები/დამცავი ფაქტორები რომლებიც იმ პრობლემასთან მიმართებაში რომლის პრევენციისათვისაც არის შექმნილი პროგრამა?

**Description of the problem**

- Does the problem arise from data regarding the phenomenon to which the programme relates? Has a diagnosis of the nationwide / local situation been carried out?
- Is the problem clearly formulated?
- Has adequate and current data been used?
- Have risk / protection factors associated with the problem been considered?

# რეკომენდაციის სისტემა: შეფასების კრიტერიუმები

**პროგრამის მიზნები**

- ჩამოყალიბებულია თუ არა მთავარი მიზანი?
- აკმაყოფილებს თუ არა მთავარი მიზანი SMART-ის კრიტერიუმებს?
- ჩამოყალიბებულია თუ ატა დეტალური  მიზნები?
- აკმაყოფილებენ თუ არა დეტალური მიზნები SMART-ის კრიტერიუმებს?

**Program objectives**

- Is the general objective formulated?
- Does the general objective meet the SMART criteria?
- Have specific objectives been formulated?
- Do specific objectives meet the SMART criteria?

# SMART კრიტერიუმები

- **Specific**
- **Measurable**
- **Action-oriented**
- **Realistic**
- **Time-bound**

- **კონკრეტული** (ეხება პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს)
- **გაზომვადი** (ფორმულირებული უნდა იყოს გაზომვადი შედეგების სახით)
- **შედეგზე ორიენტირებული** (ფორმულირებული უნდა იყოს მოსალოდნელი შედეგების სახით)
- **რეალისტური** (შესაძლებელი უნდა იყოს მათი მიღწევა ხელმისაწვდომი რესურსებისა და კომპეტენციების გამოყენებით)
- **დროში გაწერილი** (მათი მიღწევა შესაძლებელი უნდა იყოს პროგრამაში გაწერილ დროში)

# რეკომენდაციი სისტემა: შეფასების კრიტერიუმები

**პროგრამის საფუძვლები**

- როგორია პროგრამის ავტორთა წარსული გამოცდილება?
- როგორია სხვა, მსგავსი პროგრამების ევალუაციის შედეგები?
- გამოყენებულ იქნა თუ არა შემოწმებული თეორიული მოდელები როლებიც განმარტავენ მოვლენას რომელსაც ეხება პროგრამა?

**Programme assumption**

- What are the previous experiences of the authors of the program?
- What are the results of other similar programs?
- Have  authors used proven theoretical models explaining the phenomenon /problem?

# რეკომენდაციის სისტემა: შეფასების კრიტერიუმები

## სამიზნე ჯგუფი

- იქნა თუ არა სამიზნე ჯგუფი შერჩეული საწყისი სიტუაციის შეფასებისა და სწორად ფორმულირებული პრობლემის საფუძველზე?
- განსაზღვრულ იქნა თუ არა პროგრამის საკვალიფიკაციო კრიტერიუმები?
- განსაზღვრულ იქნა თუ არა პროგრამიდან გარიცხვის კრიტერიუმები?

**Target group**

- Was the target group selected based on the assessment of the initial situation and a properly formulated problem?
- Have the inclusion criteria been formulated?
- Have the exclusion criteria been defined?

# რეკომენდაციის  სისტემა: შეფასების კრიტერიუმები

მოქმედებები

- აღწერილ იქნა თუ არა მოქმედებები დეტალურად?
- მოქმედებების ტიპი, ხანგრძლივობა და ინტენსიურობა არის თუ არა ჯგუფის სპეციფიკის შესაბამისი?
- შეესაბამება თუ არა მოქმედებები პროგრამის მიზანს?

**Activities**

- Have the activities been described in detail?
- Is the type, length and intensity of activities appropriate to the target group?
- Are activities relevant to the purpose of the program?

# რეკომენდაციის სისტემა: შეფასების კრიტერიუმები

**რესურსები**

- არის თუ არა რეალიზატორების მომზადება და კომპეტენციები პროგრამის ტიპის შესაბამისი?
- არის თუ არა მასალები პროგრამის ტიპის შესაბამისი?

**Resources**

- Are the skills and competences of the trainers appropriate to the type of program?
- Are the materials appropriate to the type of program?

# რეკომენდაციის  სისტემა: შეფასების კრიტერიუმები

**რეალიზების ხარისხი**

- პროგრამის ყველა ქტივობას აქვს თუ არა უზრუნველყოფილი შესაბამისი ხარჯები (მაგალითად: კადრების, კოორდინატორების, რეალიზატორების სახელმძღვანელოების, მონაწილეთა მასალების ხარჯები)?
- სისტემატურად ტარდება თუ არა პროცესის ევალუაცია?
- გათვალისწინებულია თუ არა პროცესის ევალუაციის შედეგები პროგრამის სრულყოფისათვის?
- შემუშავდა და დაინერგა თუ არა სატრენინგო სისტემა რეალიზატორებისათვის?
- არსებობს თუ არა რეალიზატორების მხარდაჭერის სისტემა (მაგალითად: სუპერვიზია)?

**Quality of implementation**

- Are all the activities of the program provided with adequate resources (eg.staff, coordinators, manuals for the trainers, materials for participants)?
- Is the evaluation of the process systematically carried out?
- Are the results of the process evaluation considered in the improvement of the program?
- Has the training system for the implementers been developed and implemented?
- Is there a system to support trainers (eg supervisions)?

# რეკომენდაციის სისტემა: შეფასების კრიტერიუმები

**პროცესის ევალუაცია: პროგრამის მიმდინარეობის შეფასება და მისი მიღება მონაწილეების მიერ**

- შემუშავებულ იქნა თუ არა პროცესის ევალუაციის მაჩვენებლები?
- იქნა თუ არა აღწერილი პროცესის ევალუაციის მეთოდოლოგია და როგორ გაკეთა ეს (გამოკვლეული პირები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები, ინსტრუმენტები, და გრაფიკი)?
- იქნა თუ არა აღწერილი პროცესის ევალუაციის შედეგები და როგორ გაკეთდა ეს?

**Process evaluation: evaluation of the course of implementation and reception of the program by participants**

- Have indicators of the process evaluation been developed?
- How the methodology of process evaluation has been described (respondents, methods, tools, schedule of data collection)?
- How the results of the process evaluation been described?

# რეკომენდაციის სისტემა: შეფასების კრიტერიუმები

**შედეგების შეფასება: პროგრამის ეფექტურობის შეფასება**

- შემუშავებულ იქნა თუ არა შედეგების ევალუაციის მაჩვენებლები?
- იქნა თუ არა შედეგების ევალუაციის მეთოდიკა და როგორ გაკეთდა ეს (საკვლევი სქემა - რესპონდენტების შერჩევის მეთოდი და მათი რაოდენობა ექსპერიმენტულ და შედარებით ჯგუფებში, საკვლევი ჯგუფი - მონაწილეების ასაკი, სქესი და სხვა არსებითი ნიშან-თვისებები პროგრამის პერსპექტივიდან, მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტები და პროცედურა, მონაცემთა ანალიზის მეთოდები)?
- იქნა თუ არა ევალუაციის შედეგები აღწერილი და როგორ გაკეთდა ეს?
- იქნა თუ არა შედეგების ევალუაცია განხორციელებული კვლევების ეთიკური სტანდარტების შესაბამისად?

**Evaluation of the program effectiveness**

- Have evaluation indicators been developed?
- How the methodology of evaluation has been described?
- How the evaluation results have been described?
- Was the evaluation carried out in accordance with ethical standards of research?

# რეკომენდაციის სისტემა: შეფასების კრიტერიუმები

**ინფორმაციის წყაროები პროგრამის შესახებ**

- ხელმისაწვდომია თუ არა სამეცნიერო პუბლიკაციები პროგრამის შინაარსისა და მისი ევალუაციის შესახებ?

- ხელმისაწვდომია თუ არა სამეცნიერო-პოპულარული პუბლიკაციები პროგრამის შესახებ?

**Sources of information about the program.**

- Are there scientific publications available about the content and evaluation of the program?

- Are popular publications about the program available?

# რეკომენდაციის დონეები

- **I. იმედისმომცემი პროგრამა (promising) -** პროგრამა სწორადაა აგებული, მას გააჩნია პროცესის ევალუაციის შედეგები რომლებიც საშუალებას იძლევიან რომ გაკეთდეს განაცხადი მოსალოდნელი შედეგების მოპოვების შესახებ პროგრამის რეალიზების შედეგად.

- **II. კარგი პრაქტიკა (good practice) -** პროგრამა სწორადაა აგებული,  მისი ეფექტურობა დადასტურებულია ევალუაციის გზით, მისი  შედეგები გავლენას ახდენენ ფაქტორებზე რომლებიც ადამიანს ეხმარებიან ქცევის  ცვლილების მიღწევაში.

- **III. სამოდელო პროგრამა (model programme) -** პროგრამა რომლის საევალუაციო კვლევებმაც დაადასტურა მისი ეფექტურობა პრობლემურ ქცევებზე გავლენის მოხდენის კუთხით.

# რეკომენდაციის მოპოვების შესახებ განაცხადის გაკეთება

- განაცხადის გაკეთება ნარკომანიის პრევენციის ეროვნული ბიუროს მისამართზე ან ინტერნეტ-სერვისზე: www.programyrekomendowane.pl

- აპლიკაციის შეფასება რეკომენდაციის ჯგუფის მიერ. ამ ჯგუფში შედიან შემდეგი ინსტიტუციების წარმომადგენლები:

✓ ნარკომანიის პრევენციის ეროვნული ბიურო (KBPN),
✓ განათლების განვითარების ცენტრი (ORE),
✓ ალკოჰოლური პრობლემების პრევენციის ეროვნული სააგენტო (PARPA),
✓ ფსიქიატრიისა და ნევროლოგიის ინსტიტუტი (IPiN).

- გარე რეცენზენტების პოზიტიური შეფასება რეკომენდაციის II ან III დონის მოპოვების სურვილის შემთხვევაში.

- დასკვნა მალაშია 5 წლის განმავლობაში.

# შერჩეული რეკომენდებული პროგრამების დახასიათება

უნივერსალური პროფილაქტიკა

# Zippy's Friends

**„ზიპის მეგობრები"**

პარტნიორობა ბავშვებისათვის

პროგრამის კოორდინატორი პოლონეთში:
**ელჟბეტა ნერვინსკა**
პოზიტიური განათლების ცენტრი

# პროგრამა „ზიპის მეგობრები"

- **მიზანი:** პატარა ასაკის ბავშვების აღჭურვა ძირითადი სოციალურ-ემოციური კომპეტენციებით რომლებიც მათ დაეხმარებიან რთულ სიტუაციებთან გამკლავებაში ხოლო მომავალში საშუალებას მისცემენ მათ რომ გამართული ურთიერთობები ჰქონდეთ სხვა ადამიანებთან და თავი აარიდონ სარისკო ქცევებს.

- **ბენეფიციარები:** 5 – 9 წლის ასაკის ბავშვები

- **რეალიზატორები:** მეცადინეობები ტარდება აღმზრდელ-მასწავლებლის მიერ დეტალურად შემუშავებული სცენარების საფუძველზე.

- **მასალები**: მასწავლებლის კომპლექტი (მეცადინეობათა სცენარები, სავარჯიშოების ფურცლები, მეთოდური რვეული); ბავშვების კომპლექტი; სახელმძღვანელო მშობლებისათვის და სახლში შესასრულებელი სავარჯიშოების კომპლექტი; 3 პლაკატისგან შემდგარი კომპლექტი; დამატებითი მასალები ელექტრონულ ვერსიაში.

# პროგრამა „ზიპის მეგობრები"

**პროგრამის თემატური ნაწილები :**

- გრძნობები,
- კომუნიკაცია,
- მეგობრობა,
- კონფლიქტების გადაწყვეტა,
- ცვლილებებისა და დანაკარგების განცდა,
- სიძნლეეებთან გამკლავება.

პროგრამის თითოეული ნაწილის შინაარსი იკითხება მასწავლებლის მიერ და იგი გამდიდრებულია ილუსტრაციებით სადაც მოთხრობილია მეგობრების ჯგუფის თავგადასავლების შესახებ. ასეთი თავგადასავლები შეიძლება გადახდეთ ჩვეულებრივ ბავშვებსაც.

# პროგრამა „ზიპის მეგობრების" შეფასება

**ჩეხეთში, დანიაში, ჰოლანდიაში, ირლანდიაში, ლიტვაში, ნორვეგიაში ჩატარებულმა ევალუაციამ დაადასტურა რომ პროგრამამ შეძლო შემდეგი მიზნების მიღწევაზე გავლენის მოხდენა:**

- ბავშვების საზრიანობის, სოციალური და საკომუნიკაციო კომპეტენციების დონის გაზრდა,
- სასკოლო მიღწევების გაუმჯობესება,
- ატმოსფეროს გაუმჯობესება კლასებში,
- ძალადობის შეზღუდვა (http://www.partnershipforchildren.org.uk/)

**პროგრამა ძალზე დადებითად მიიღეს პოლონელმა მასწავლებლებმა**

უნივერსალური პროფილაქტიკა

# „შეხედე სხვანაირად”

ანჯეი კოლოჯეიჩიკი
ევა ჩემეროვსკა-კორუბა
ტომაშ კოლოჯეიჩიკი

ფსიქოპროფილაქტიკური საზოგადოება „შეხედე სხვანაირად”

# პროგრამა „შეხედე სხვანაირად”

- **მიზანი:** ბავშვებში და ახალგაზრდებში მავნე დამოკიდებულებებისა და სხვა დესტრუქციული ქცევების პროფილაქტიკა, აგრეთვე არასწორი სოციალური ადაპტაციის პროფილაქტიკა სწორი განვითარების მხარდაჭერით და ძირითადი ფსიქოსოციალური უნარების სრულყოფის გზით.

- **ბენეფიციარები :** პროგრამა დამუშავებულია სამ ვერსიად რომლებიც ადრესატების განვითარების დონის შესაბამისია.
  - დაწყებითი სოკლის I-III კლასები,
  - დაწყებითი სკოლის IV-VI კლასები,
  - გიმნაზიის I-III კლასები.

  - ბავშვებთან მეცადინეობებს წინ უსწრებს შეხვედრები მშობლებთან.

- **რეალიზატორები :** აღმზრდელ-მასწავლებლები.

- **მასალა:** სახელმძღვანელო მასწავლებლისათვის რომელიც შეიცავს მეცადინეობათა სცენარების დაწვრილებით აღწერას, აგრეთვე ინფორმაციას და მეთოდურ მითითებებს მეცადინეობის განმახორციელებელი პირებისათვის.

# პროგრამა „შეხედე სხვანაირად"

**პროგრამის თემატური ბლოკები :**

- ✓ საკუთარი თავისა და შეგრძნებების აღქმა (გრძნობების გამოცნობა და და გამოხატვა, საკუთარი და სხვისი გრძნობების გაგება და მიღება),
- ✓ საკუთარი ღირსების გრძნობის ჩამოყალიბება,
- ✓ ჯგუფში მონაწილეობა (ადამიანებთან კონტაქტისას განცდილი გამოცდილება),
- ✓ პრობლემების გადაწყვეტა (მოსაზრებათა განსხვავებულობის განსაზღვრა, განსხვავებულობის მიღება, გადაწყვეტილებების ძიება),
- ✓ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა (ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ან მავნე ყოველდღიური ჩვევები, პასუხისმგებლობა საკუთარ ჯანმრთელობაზე) და მავნე დამოკიდებულებების პროფილაქტიკა.

# პროგრამა ,,შეხედე სხვანაირად’’ - ევალუაცია

**შედეგები გვიჩვენებენ რომ პროგრამის რელიზებამ გავლენა მოახდინა შემდეგ საკითხებზე:**

- თანატოლების მიერ უარყოფილი და იზოლირებული ბავშვების (ე. წ. “მიუღებელი” ბავშვების) პროცენტის შემცირება, მონაწილეთა ემოციური დამოკიდებულების გაუმჯობესება საკუთარი კლასელებისადმი (დეპტულა, 2001)

- ბავშვების უკეთესი ადაპტაცია სასკოლო მოთხოვნებისადმი, მოსწავლეების მეტი გახსნილობა და თანატოლებთან თანამშრომლობისადმი, პრობლემური ქცევების შემცირება კლასში (ჩხუბები, ჩივილები და ა. შ.) (ოსტაშევსკი, 2003)

- ცოდნის გაღრმავება ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ქცევების შესახებ (ოსტაშევსკი, 2003)

- მოსწავლეების სოციალური პოზიციის გაუმჯობესება კლასში რაც უკეთეს პირობებს უქმნის მათ განვითარებისათვის და საკუთარი კომპეტენციების უკეთ ჩამოყალიბებისათვის (მიშიუკი, 2015)

უნივერსალური პროფილაქტიკა

# შინაური დეტექტივების პროგრამა „იაში და მალგოშა კვალზე დგანან” (PDD) აგრეთვე ფანტასტიური შესაძლებლობები (FM)

ახალგაზრდული პროფილაქტიკის ლაბორატორია „Pro-M”, ფსიქიატრიისა და ნევროლოგიის ინსტიტუტი ვარშავაში

# პროგრამები PDD და FM

- **მიზნები:**

1. ალკოჰოლის მოხმარების დაწყების მომენტის დაგვიანება,
2. ალკოჰოლის მოხმარების დონის დაწევა იმ ახალგაზრდებში რომლებმაც უკვე გასინჯეს ალკოჰოლი,
3. ახალგაზრდებიე მიერ ალკოჰოლის სმასთან დაკავშირებული პრობლემების მასშტაბის შემცირება.

- **ბენეფიციარები:** 10 – 12 lწლის ასაკის მოსწავლეები და მათი მშობლები,

- **რეალიზატორები:** მასწავლებელი, საკოის პადაგოგები და აგრეთვე ახალგაზრდა ლიდერები,

- **მასალები:** მასწავლებლის სახელმძღვანელო რომელიც შეიცავს მეცადინეობათა სცენარების დეტალურ აღწერას და მეთოდურ მითითებებს მეცადინეობათა განმახორციელებელი პირებისათვის, სახელმძღვანელო ლიდერებისათვის და აგრეთვე სამუშაო მასალების ნაკრები წყვილებისათვის: მშობელი-ბავშვი.

# შინაური დეტექტივების პროგრამა „იაში და მალგოშა კვალზე დგანან"




პროგრამა ეყრდნობა იუმორისტული კომიქსებით მოთხრობილ ისტორიებს ნორჩი დეტექტივების - იაშისა და მალგოშას თავგადასავლების შესახებ რომლებიც ცდილობენ ახალგაზრდები დაიცვან ალკოჰოლის მოხმარების დაწყებისაგან.

ილუსტრაცია: ტომაშ ლეშნიაკი

# პროგრამები PDD და FM

## PDD-ს საკვანძო ელემენტები

- საინფორმაციო შეხვედრა მშობლებთან

<u>კლასი</u>

- ახალგაზრდა ლიდერების შერჩევა და დატრენინგება,
- 5 მეცადინეობა რომლებიც ტარდება მასწავლებლისა და ლიდერების მიერ და რომლებიც ინიცირებას უწევენ საშინაო გუნდების მუშაობას.

<u>სახლი</u>

- მოსწავლეები მშობლებთან ერთად ქმნიან საშინაო გუნდებს რომლებიც კითხულობენ  კომიქსების 4 ჟურნალს და წყვეტენ მათში მოცემულ ამოცანებს.

სკოლა

- იაშისა და მალგოშას საღამო.

# ფანტასტიური შესაძლებლობები

- პროგრამა ეყრდნობა “ჩვეულებრივი” მოსწავლეების მონათხრობის აუდიოჩანაწერს.
- ბაშა, დომინიკა, მიჰალი და იაცეკი მსმენელებს უზიარებენ თავიანთ განცდებს და ყოველდღიურ გამოცდილებას.



Ilustracje: Maciej Trzepałka

# პროგრამები PDD და FM

## FM-ის საკვანძო ელემენტები

- ფანტასტიური იდეების საღამო.

<u>კლასი</u>

- ახალგაზრდა ლიდერების შერჩევა და დატრენინგება,
- 6 მეცადინეობა რომლებსაც მასწავლებელი და ლიდერები ატარებენ.

<u>სახლი</u>

- მშობლებს ეძლევათ 4 რვეული რომლებიც შეიცავენ საინფორმაციო ნაწილს და აგრეთვე შვილებთან ერთად შესასრულებელ დავალებებს.

სკოლა

- კარგი გართობის საღამო.

# პროგრამების - PDD-სა და FM-ის ევალუაცია

**ეფექტურობის კვლევებმა გამოავლინეს დადებითი გავლენა შემდეგი მოვლენების შეზღუდვაზე:**

- პირველი ალკოჰოლური თრობის მცდელობები პროგრამისბენეფიციარების მიერ,
- ალკოჰოლის სმა თანატოლების წრეში.

**პროგრამის რეალიზაციამ აგრეთვე გავლენა მოახდინა შემდეგზე საკითხებზე:**

- მოსწავლეების ცოდნის დონის ამაღლება ალკოჰოლის სმის შედეგების შესახებ,
- ალკოჰოლისადმი ტოლერანტული მიდგომის შემცირება,
- მოსწავლეებში იმ აზრის გაძლიერება რომ თანატოლების წნეხის პირობებში დალევაზე უარის თქმა შესაძლებელია (ოსტაშევსკი და თანაავტორები, 2000; ბობრივსკი და თანაავტორები, 2014)

უნივერსალური პროფილაქტიკა

# პროგრამა ,,სამი წრე’’

ალმზრდელებისა და ახალგაზრდების ფონდი ”*Prom*”

# პროგრამა „სამი წრე"

- **მიზნები:**
  - ✓ პოზიტიური კონტაქტების განვითარება აღმზრდელებსა და მოსწავლეებს შორის და თვითონ მოსწავლეებს შორის,
  - ✓ მოსწავლეებში პროსოციალური და ჯანმრთელობის მხარდამჭერი განწყობების განვითარება,
  - ✓ ფსიქოაქტიური ნივთიერებების ბოროტად გამოყენების პრევენცია, აგრესიისა და ძალადობის აქტების პრევენცია, უბედური შემთხვევების პრევენცია,
  - ✓ მოსწავლეებში მშობლებთან თანამშრომლობის უნარის განვითარება,
  - ✓ კლასთან მუშაობისას ინტერაქტიული მეთოდების გამოყენების უნარის განვითარება,
  - ✓ აღმზრდელობით-პროფილაქტიკური მუშაობის გეგმების შექმნის უნარის განვითარება.

- **ბენეფიციარები:** დაწყებითი სკოლებისა და გიმნაზიების მოსწავლეები,

- **რეალიზატორები:** კლასის აღმზრდელები და სხვა მეურვეები რომლებსაც სკოლის ასაკის ბავშვთა ჯგუფები აბარიათ,

- **მასალები:** cztery zeszyty  zawierające praktyczne wskazówki, scenariusze zajęć wychowawczych i


საქმეები და პრობლემები რომლებიც
ბავშვებსა და ახალგაზრდებს აწუხებთ
საფრთხეები
ატმოსფერო და
კავშირები

# პროგრამა „სამი წრე"

- ატმოსფერო და კავშირები (მწვანე წრე): კლასში მოსწავლეებს შორის თანამშრომლობის, ურთიერთდახმარებისა და პოზიტიური დამოკიდებულებების განვითარება; კომუნიკაციის უნარის სრულყოფა; მუშაობა ღირებულებებზე; მუშაობა თაობათაშორის კავშირებზე; ბავშვებში კრეატიულობის განვითარება.

- საქმეები და პრობლემები (ფორთოხლისფერი წრე): ბავშვებისა და ახალგაზრდების მიერ განცდილ პრობლემებამდე მიღწევა, სხვადასხვა ცხოვრებისეული უნარების განვითარება (მაგალითდ: კონტაქტების დამყარება, გრძნობების გამოცნობა, კონფლიქტების გადაჭრა, სხვების დაფასება და მათი დახმარება); საკუთარი თავის ღირსების გრძნობის გაძლიერება ახალგაზრდებში.

- ჯანმრთელობა და საფრთხეები (წითელი წრე): ცოდნის გადაცემა ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების შესახებ (თამბაქო, ალკოჰოლი, ნარკოტიკები - მათ შორის სპაისები, ინტერნეტი), ეფექტურად უარის თქმის უნარის სრულყოფა, აგრესიისა და ძალადობის ჩახშობა საკუთარ თავში, ცხოვრების ჯანმრთელი წესის არჩევა, საკუთარ და სხვების უსაფრთხოებაზე ზრუნვა, თავისუფალი დროის საინტერესოდ გატარება.

- მშობლებთან თანამშრომლობა: მშობლების აქტივიზაცია მშობელთა კრების მიმდინარეობისას, მათი ჩართვა სკოლის ცხოვრებაში, საუბრები აღმზრდელობით პრობლემებზე.

# პროგრამა "სამი წრის" შეფასება

**ეფექტურობის კვლევამ გამოავლინა პროგრამის პოზიტიური ზეგავლენა შემდეგ საკითხებზე:**

- მოსწავლეების მიერ გუნდური მუშაობის ათვისება და მისი მიღება.
- პროსოციალური ქცევების ჩამოყალიბება.
- ჯანმრთელობისათვის არასახარბიელო ქცევების შეზღუდვა - არსებითად შემცირდა "არაჯანმრთელი" ქცევების სიხშირე (მაგალითად: ჩიფსების ჭამა, დიდი რაოდენობით ტკბილეულობის ჭამა, გაზიანი სასმელების დალევა, ტელევიზორთან დიდხანს ჯდომა, აგრესიული კომპიუტერული თამაშები).
- ალკოჰოლის სმის შეზღუდვა მოსწავლეებს შორის (სტატისტიკური მნიშვნელობის ახლოს მდგომი დონე) (ვოლნევიჩ-გჟელაკი და გჟელაკი, 2001)

უნივერსალური პროფილაქტიკა

# მშობლებისა და აღმზრდელების სკოლა

**იოანა საკოვსკა**

პროგრამის კოორდინატორი: განათლების განვითარების ცენტრი

# მშობლებისა და აღმზრდელების სკოლა

- **მიზანი:** მშობლების/აღმზრდელების  აღმზრდელობითი უნარების გაუმჯობესება, მათი მიდგომების შეცვლა ისეთი მიდგომებით რომლებიც ბავშვებისა და ახალგაზრდების პრობლემური/სარისკო საქციელების გამოვლენის რისკების პრევენციას ან მათ მინიმალიზაციას მოახდენენ.

- **ბენეფიციარები:** მშობლები, აღმზრდელები და აგრეთვე პროფესიონალები რომლებიც მშობლებთან მუშაობენ.

- **რეალიზატორები:** პროგრამის ინსტრუქტორები.

- **მასალები:**

✓ მშობლებისა და აღმზრდელების სკოლა, ნაწილი I, მასალები მეცადინეობათა განმახორციელებლებისათვის, ი. საკოვსკა, CMPPP, ვარშავა, 2008 ;
✓ მშობლებისა და აღმზრდელების სკოლა, ნაწილი II, მასალები მეცადინეობათა განმახორციელებლებისათვის, ი. საკოვსკა, ე. პუჰალა, CMPPP, ვარშავა, 2008;
✓ მშობლებისა და აღმზრდელების სკოლა, ნაწილი III, მასალები მეცადინეობათა განმახორციელებლებისათვის, ი. საკოვსკა, CMPPP, ვარშავა, 2008 ;
✓ მეთოდური რვეულები N 1 – 12.

# მშობლებისა და აღმზრდელების სკოლა

- **პროგრამა შედგება სამი თემატური ნაწილისგან:**

  **ნაწილი I. ურთიერთობა: ზრდასრული-ბავშვი**
  თემატიკა:  ბავშვების განცდების გამოცნობისა და მათთან ამ განცდებზე საუბრის უნარი, ნათელი საზღვრებისა და მოთხოვნების ჩამოყალიბება, თანამშრომლობისკენ მოტივირება, დამოუკიდებლობისა და თვითდისციპლინის მხარდაჭერა, პრობლემებისა და კონფლიქტების გადაჭრის მხარდაჭერა, ბავშვის ღირსების გრძნობის გაძლიერება.

- **ნაწილი II. ურთიერთობის აგება ბავშვებს შორის (დედმამიშვილებს შორის)**
  თემატიკა: ბავშვების რთულ განცდებთან გამკლავება და ჩარევის მეთოდები დედმამიშვილების კამათსა და კონფლიქტებში.
-

  **ნაწილი III.  თინეიჯერული ასაკის ბავშვების მშობლები და აღმზრდელები**
  თემატიკა: ცოდნა თინეიჯერის ემოციურ-სოციალური განვითარების ეტაპების შესახებ, ცოდნა მომწიფების ასაკის საჭიროებებისა და პრობლემების შესახებ.

# მშობლებისა და აღმზრდელების სკოლის ევალუაცია

შედეგები გვიჩვენებენ რომ მეცადინეობებში მონაწილეობა დაკავშირებულია რესპონდენტების მიერ დეკლარირებული აღმზრდელობითი მიდგმების ცვლილებასთან, სკოლის მოწოდების თანახმად.

მიდგომათა ცვლილებები ეხება ისეთ სფეროებს როგორიცაა:

- ფიზიკური დასჯის გამოყენება,
- სუბიექტური ურთიერთობის აგება ბავშვთან (მისი ავტონომიურობის პატივისცემა),
- ავტორიტეტის აგება,
- პასუხისმგებლობა ბავშვზე,
- ბავშვის გრძნობების მიღება,
- შექების გამოყენება.

რეკომენდებული პროფილაქტიკა

სელექციური პროფილაქტიკა

# ოჯახის გაძლიერების პროგრამა

პროგრამის კოორდინატორი: ნარკომანიის პრევენციის ფონდი “მარათონი”

# ოჯახის გაძლიერების პროგრამა

- **პროგრამის მთავარი მიზანი:** ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების და სხვა სარისკო ქცევების შეზღუდვა მომწიფების ასაკში.
- **დეტალური მიზნები**:
  - ✓ მშობლების/მეურვეების აღმზრდელობითი უნარების განვითარება და მათ მიერ ბავშვებზე კონტროლის განხორციელება.
  - ✓ ბავშვებისა და მოზარდებისთვის ინტერპერსონალური და პროსოციალური უნარების განვითარება, კავშირების გაძლიერება ოჯახში.

- **ბენეფიციარები: 10-14 წლის ბავშვები და მათი მშობლები**
  - ✓ ოჯახები სადაც კომუნიკაციის პრობლემაა მოდელში: მშობელი-ბავშვი-ოჯახი და აგრეთვე არის ბავშვების სარისკო საქციელების პრობლემა.
  - ✓ ოჯახები რომელთა ფუნქციონირებაც ქმნის დიდ რისკს რომ მათმა შვილებმა სარისკო და პრობლემური საქციელების ჩადენა დაიწყონ.

- **რეალიზატორები:** პროგრამის ტრენერები.

- **მასალები:** სახელმძღვანელო მზა სცენარებით და საგანმანათლებლო მიკროფილმები.; საგანმანათლებლო მასალები ბავშვებისა და მშობლებისათვის სახლში სამუშაოდ.

# ოჯახის გაძლიერების პრობლემა

- პროგრამა ხორციელდება სემინარების ფორმით, ტარდება სესიები მშობლებისათვის და შვილებისათვის, აგრეთვე საოჯახო სესიები.

- შეხვედრები ტარდება კვირაში ერთხელ,
  - მეცადინეობის პირველი საათის განმავლობაში ბავშვები და მშობლები ცალ-ცალკე მუშაობენ თავიანთ ჯგუფებში,
  - მეორე საათი ორივე ჯგუფისათვის საერთოა.

- ძირითადი პროგრამის დამთავრების შემდეგ (3-დან 12 თვემდე) მონაწილეებს იწვევენ 4 “შეხსენებით” სესიაზე.

# ოჯახის გაძლიერების პროგრამა

| სესიები მშობლებისათვის | სესიები ბავშვებისათვის | საოჯახო სესიები |
|---|---|---|
| სიყვარული და საზღვრები | მიზნები და ოცნებები | მიზნებისა და ოცნებების მხარდაჭერა |
| საშინაო წესების დადგენა | მშბლების დაფასება | ოჯახის წევრების დაფასება |
| კარგი ქცევის პოპულარიზაცია | სტრესთან გამკლავება | ოჯახური თათბირები |
| დასკვნების გამოტანა | წესების დაცვა | გავიგოთ ოჯახური ღირებულებები |
| ხიდების აგება | თანატოლთა წნეხთან გამკლავება | კომუნიკაციის განვითარება ოჯახის შიგნით |
| ფსიქიაქტიური ნივთიერებების მოხმარებისაგან დაცვა | თანატოლთა წნეხი და ნამდვილი მეგობრები | ოჯახი და თანატოლთა წნეხი |
| ოჯახისთვის დახმარების გაწევა საგანგებო სიტუაციებში | როდესაც სხვებს დახმარებას ვთხოვთ | შეჯამება |

# ოჯახის გაძლიერების პროგრამის ევალუაცია

- კვლევებმა აჩვენა რიგი დადებითი შედეგები შემდეგ საკითხებში:
  - ოჯახური ურთიერთობები, მათ შორის: ერთად მეტი დროის გატარება, ოჯახური ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება - შეკავშირებულობა, ურთიერთდახმარება, ბრაზისა და აგრესიის შეზღუდვა.
  - მშობლების აღმზრდელობითი პრაქტიკა, მათ შორის: დედებისა და მამების მიერ წესების შესრულების სიხშირის გაზრდა.
  - ბავშების პრობლემური საქციელები, მათ შორის: სხვადასხვა ნივთიერებების გამოყენების შეწყვეტა (თამბაქო, ალკოჰოლი, მარიხუანა).

გარდა ამისა:

- მშბლებისა და შვილების უმეტესობა იყო კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილი მეცადინეობებში მონაწილეობით.
- მშობლებისა და ბავშვების უმეტესობა რეკომენდაციას გაუწევდა ამ პროგრამას სხვებთან.
- მშობლების უმეტესობა და ბავშვების დაახლოებით ნახევარი სურვილს გამოხატავს რომ კიდევ ერთხელ მიიღონ მონაწილეობა მსგავს მეცადინეობებში. (ოკულიჩ-კოზარინი,2009)

სელექციური პროფილაქტიკა

# ქცევის შესწავლის პროგრამა

მასწავლებლების დახელოვნების არასაჯარო ცენტრი “სოფია”

# ქცევის შესწავლის პროგრამა

- **პროგრამის მთავარი მიზანი:** შერჩეული მოსწავლეების არასასურველი ქცევების სიხშირისა და რაოდენობის შემცირება სკოლაში, აგრეთვე პრობლემური ქცევების განვითარებისა და გამყარების პროცესის შეჩერება ამ მოსწავლეებში.
- **დეტალური მიზნები**: მოსწავლის მიერ იმ უნარების ათვისება რომლებიც მისადაგებულია მისი ინდივიდუალური მოთხოვნებისადმი და ემსახურება კლასში დესტრუქციული ქცევების შეზღუდვას და სასურველი ქცევების გაძლიერებას.

✓ საკუთარი ქცევებისადმი და მათი შედეგებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება.

✓ პროგრამის ბენეფიციარებში პოზიტიური სოციალური კავშირების ჩამოყალიბება.

- **ბენეფიციარები:** დაწყებითი სკოლების, გიმნაზიებისა და ლიცეუმების მოსწავლეები რომლებსაც აქვთ სკოლაში მოქცევის მზარდი პრობლემები.

- **რეალიზატორები:** პროგრამის ტრენერები.

- **მასალები:** სტატიები პროგრამის შესახებ, სამუშაო მითითებები და დამხმარე მასალები: **http://www.programnaukizachowania.pl/**

# ქცევის შესწავლის პროგრამა

**მოდული I – მოსწავლის შეყვანა პროგრამაში**

- მოსწავლის განაცხადი და მისი დაკვალიფიცირება პროგრამაში.
- სამოტივაციო გასაუბრება მოსწავლესთან - ინდივიდუალური ზემოქმედების პროგრამის მიზნების დადგენა.
- მშობელთან გასაუბრება - მშობლის ჩართვა მისი შვილის შეცვლის პროცესში.

**მოდული II – მოსწავლის დღე პროგრამაში**

- მასწავლებლების მიერ საპასუხო ინფორმაციის გადაცემა მოსწავლის წარმატებების შესახებ დადგენილი მიზნების რეალიზაციის საქმეში ცალკეული გაკვეთილების მიმდინარეობისას.
- დღის შემაჯამებელი გასაუბრება - მოსწავლის წარმატებების განხილვა განვლილი დღის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში ახალ უნარებში ვარჯიში.

**მოდული III – წარმატების ევალუაცია**

- ანგარიშის მომზადება დღის განმავლობაში დასახულ მიზნებთან მიმართებაში მიმიღწეული წარმატების შესახებ.
- კვირის შეჯამება - ინფორმაციის შეგროვება რომელიც საშუალებას მოგვცემს რომ მოსწავლე დავტოვოთ პროგრამაში ან მოვახდინოთ მიზნების მოდიფიცირება ისე რომ ისინი უკეთ იყვნენ მისადაგებულნი მის აქტუალურ შესაძლებლობებთან.
- კვარტალური შეჯამების მომზადება - ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებისათვის პროგრამის მიმდინარეობის და მისი რეალიზაციის შესახებ.

მოსწავლესთან დიალოგის დროს მასწავლებლები სარგებლობენ სოკრატეს მეთოდით და კოუჩინგის ტექნიკით.

# ქცევის შესწავლის პროგრამის ევალუაცია

**ხარისხობრივი მეთოდებით ჩატარებულმა მაფორმირებელმა ევალუაციამ აჩვენა რომ პროგრამა გავლენას ახდენს შემდეგ საკითხებზე:**

- სასურველი ცვლილებები მოსწავლეთა ქცევაში.
- მოსწავლეთა ემოციური უსაფრთხოების შეგრძნების გაუმჯობესება.

რეკომენდებული პროფილაქტიკა

სელექციური პროფილაქტიკა

# სასკოლო პროფილაქტიკური ჩარევა

ახალგაზრდული პროფილაქტიკის ლაბორატორია
ფსიქიატრიისა და ნევროლოგიის ინსტიტუტი ვარშავაში

# სასკოლო პროფილაქტიკური ინტერვენცია

- **მიზნები:**
  - **საზოგადოება და სკოლა:** ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენცია მოსწავლეებში ინტერვენციის პროცედურის თანმიმდევრული გამოყენებით, ამ გზით სკოლაში არსებული წესებისა და ნორმების გამლიერება.
  - **მოსწავლე სარისკო ჯგუფიდან:** ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემდგომი მოხმარების პრევენცია მოსწავლეებში სკოლისა და მშობლების მიერ ინტერვენციული ჩარევის გზით რაც დახმარებასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.

- **ბენეფიციარები:** დაწყებითი სკოლების, გიმნაზიების და ლიცეუმების მოსწავლეები.

- **რეალიზატორები:** კლასის აღმზრდელები და სკოლის პედაგოგები.

- **მასალები:** სასკოლო პროფილაქტიკური ინტერვენციის პროგრამის ინსტრუქტორის სახელმძღვანელო.

# ინტერვენციის მიმდინარეობა

გასაუბრება მოსწავლესთან

დიაგნოზი, კონსულტაცია

გასაუბრება მშობლებთან

დიაგნოზი, კონსულტაცია კონტრაქტის ერთობლივი დამუშავება

მოსწავლესთან და მშობლებთან ერთობლივი გასაუბრება

მოსწავლე აწარმოებს მოლაპარაკებას და დებს კონტრაქტს

მონიტორინგი

ინფორმაციის გაცვლა სკოლასა და მშობლებს შორის

# ინტერვენციის მეთოდის დანერგვა სკოლაში

**1. პედაგოგთა საბჭოს ტრენინგი – I ეტაპი**

- იმ რწმენის გაღვივება რომ ინტერვენციის მეთოდი სასარგებლოა.
- დისკუსიის დაწყება მოქმედებათა მიზნების, მიმართულებების და მიმდინარეობსი შესახებ.

2. **შერჩეული მასწავლებლების მომზადება შემდეგ სფეროებში:**

- ინტერვენციული გასაუბრებების ჩატარება.
- კონტრაქტის მომზადება.
- სიძნელეების გადალახვა.
- საკუთარი მოქმედებების შედეგების ადეკვატური შეფასება.

# სასკოლო პროფილაქტიკური ინტერვენციის ევალუაცია

- მასწავლებლების მონათხრობის მიხედვით ტრენინგების დამთავრებიდან ერთი წლის განმავლობაში ჩატარდა 34 ინტერვენცია, მათ შორის:
  - წარმატებით დამთავრდა N=15 (44%)
  - ეფექტი არაა ნათელი N=12 (35%)
  - წარუმეტებლად დამთავრდა N=7 (21%)
- შედეგების ანალიზმა აჩვენა რომ რაც უფრო მეტი ელემენტია ამ მეთოდიდან გამოყენებული ინტერვენციის დროს:

  - **მიზნის განსაზღვრა -** დახმარება და მხარდაჭერა
  - **პრობლემის ფორმულირება** – ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება
  - **გასაუბრებათა მთელი ციკლის ჩატარება** მოსწავლესთან და მშობლებთან
  - **კონტრაქტის** შეთავაზება

მით უფრო მეტი ალბათობაა რომ სასურველი შედეგები იქნება მიღწეული (ზორუცკა და თანაავტორები, 2003)

რეკომენდებული პროფილაქტიკა

სელექციური პროფილაქტიკა

# პროგრამა „FreD goes net"

პროგრამის კოორდინატორი: ნარკომანიის პრევენციის ეროვნული ბიურო

# „FreD goes net”

- **მიზანი:** ნარკოტიკული და ალკოჰოლური დამოკიდებულების განვითარების პრევენცია.

- **ბენეფიციარები:** 14 – 21 წლის ასაკის ახალგაზრდები რომლებიც მოიხმარენ ალკოჰოლს, ნარკოტიკებს, ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, ჩამანაცვლებელ ნივთიერებებს ან ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს (ე. წ. სპაისები) პერიოდულად ან ინტენსიურად.

- **რეალიზატორები:** პროგრამის ტრენერები.

- **მასალები:** სახელმძღვანელო „Fred goes net” – ადრეული ინტერვენცია ნარკოტიკების ახალგაზრდა მომხმარებლების შემთხვევაში, KBPN.

# „FredD goes net"

- პროგრამა ხორციელდება ადგილზე მოღვაწე ინსტიტუციებთან და ორგანიზაციებთან (პარტნიორებთან) თანამშრომლობაში – სკოლა, პოლიცია, სამკურნალო დაწესებულებები.

- პროგრამა შედგება შემდეგი ნაწილებისგან:
- ✓ **წინასწარი გასაუბრება**: სამოტივაციო დიალოგის ტიპის მოკლე შეხვედრა რომლის მიზანიცაა ნარკოტიკების ან ალკოჰოლის ახალგაზრდა მომხმარებლის პრობლემის წინასწარი გაცნობა და მისი მოტივირება პროგრამაში მონაწილეობაზე.

- ✓ **სემინარის ტიპის მეცადინეობები** მცირე ჯგუფებში. მეცადინეობები ეძღვნება ისეთ საკითხებს როგორიცაა:

  1/ ცოდნა ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტების შესახებ.

  2/ ცოდნა ნარკოტიკების შესახებ, იმ ნარკოტიკების განსაკუთრებული გათვალისწინებით რომლებსაც მირითადად იყენებენ მოცემული ჯგუფის წევრები.

  3/ ნარკოდამოკიდებულების პრობლემა და ნარკოტიკების გამოყენების პირადი მოდელის ანალიზი.

  4/ პირადი რისკის ფაქტორები და დამცავი ფაქტორები.

  5/ მოოტივაცია ნარკოტიკების მოხმარების შესამცირებლად ან სრული შეწყვეტისათვის.

- ✓ **ფინალური გასაუბრება –** სერტიფიკატების გადაცემა.

# „FreD goes net”

- პროგრამა „FreD goes net”-ის ევალუაცია შედგა 2008 - 2010 წლებში საერთაშორისო საკვლევი პროექტის ჩარჩოებში რომელიც სხვა ქვეყნებთან ერთად პოლონეთშიც განხორციელდა.
- ამ კვლევების შედეგები მიუთითებენ პროგრამის დადებით შედეგებზე შემდეგ სფეროებში:
- ცოდნის ხარისხის გაუმჯობესება ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, აგრეთვე დახმარების მოპოვების შესაძლებლობის შესახებ.
- სხვადასხვა არასასარგებლო რწმენების შეცვლა ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების საკითხთან დაკავშირებით.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების შემცირების სურვილის გამოხატვა. ამავდროულად რესპონდენტების უმეტესობა სურვილს გამოხატავს რომ სრულად შეწყვიტოს ნარკოტიკების გამოყენება.
- ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის უნარის გაუმჯობესება.
- გარდა ამისა:
- პროგრამა დადებითად შეფასდა სამიზნე ჯგუფის მიერ - მონაწილეთა უმეტესობა პროგრამას რეკომენდაციას გაუწევდა თავის თანატოლებთან.

Supporting the prevention of addiction in Georgia

FUNDACJA PRAESTERNO

# გმადლობთ ყურადღებისათვის!

Ministerstwo Zdrowia

Krajowe Biuro do Spraw Przeciwdziałania Narkomanii

# ლიტერატურა


1. დამოკიდებულებათა პროფილაქტიკის რეკომენდებული პროგრამები, ფონდი “პრაესტერნო”, 2016
2. მ. დეპტულა, (2001). დაწყებითი სკოლის I-III კლასებში ჩატარებული აღმზრდელობით-პროფილაქტიკური პროგრამის - “შეხედე სხვანაირად” ევალუაციის წინადადება: ი. გჟელაკი, მ. სოჰოცკი, (რედ.) - ახალგაზრდული პრობლემების პროფილაქტიკის ევალუაცია სკოლასა და მის ფარგლებს მიღმა: გამომცემლობა “სუმუსი” გვ. 231-256.
3. კ. ბობროვსკი, ა. პისარსკა, კ. ოსტაშევსკი, ა. ბორუცკა (2014), ალკოჰოლური პროფილაქტიკის პროგრამის ეფექტურობა მომწიფების ზღვარზე მდგომი ბავშვებისათვის. პოლონური ფსიქიატრია, 48, N 3, გვ. 527-539.
4. ა. ბორუცკა, ა. პისარსკა, კ. ოკულიჩ-კოზარინი (2003), ინტერვენციული მეთოდის ფუნქციონირების წარმატებულობის შეფასება. განვითარების ასაკის მედიცინა, VII(1)2, 157-172.
5. ა. მიშიუკი (2015), *“შერჩეული საგანმანათლებლო პრაქტიკების შედეგების დიაგნოზი დაწყებითი სკოლების I-II კლასების მოსწავლეების სოციალური კომპეტენციების განვითრებისათვის”, სადოქტორო ნამუშევარი პროგრამა “შეხედე სხვანაირად”-ს რეალიზაციის გავლენას ბავშვების სოციალურ კომპეტენციებზე.*
6. კ. ოკულიჩ-კოზარინი (2009): ოჯახის გაძლიერების პროგრამის ევალუაცია. საინფორმაციო სერვისი. *ნარკომანია.* 4(48), 11-15.
7. კ. ოსტაშევსკი (2003). ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პროფილაქტიკის ეფექტურობა. ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი პროგრამების დამუშავებისა და მათი ევალუაციის საფუძვლები. ვარშავა:  სამეცნიერო გამომცემლობა "Scholar".
8. კ. ოსტაშევსკი, კ. ბობროვსკი, ა. ბორუცკა, კ. ოკულიჩ-კოზარინი, ა. პისარსკა (2000): ალკოჰოლის მოხმარების ადრეული პროფილაქტიკის პროგრამის ეფექტურობის შეფასება - “შინაური დეტექტივების პროგრამა”.  ალკოჰოლიზმი და ნარკომანია. 13, 1; 83- 103.
9. რ. რეინიაკი (2016), პროგრამა „Fred goes net”-ის წარმატებულობის შეფასება, *ნარკომანიის საინფორმაციო სერვისი,*  N 3 (75), 18-24.
10. ზ. ვოლნევიჩ-გჟელაკი, ი. ლ. გჟელაკი (2001), პროგრამა “სამი წრის” ეფექტურობის შეფასება, *ბავშვებისა და ახალგაზრდების პრობლემების პროფილაქტიკის ევალუაცია, რედ. ი. გჟელაკი და მ. სოჰოცკი*, პრობლემების პროფილაქტიკის ლაბორატორია, ვარშავა, 58-81.